მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) შპს „სელფი მობაილ“-ის („სელფი“) F106 და F109 ლიცენზიებით გათვალისწინებულ სიხშირეებზე, დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა).

29.01.2025 წელი

ტერმინთა განმარტება

**აფილირება** - პირებს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობა. განსაკუთრებულ ურთიერთობებს განეკუთვნება, კერძოდ, ურთიერთობები, რომელთა დროსაც: პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები); ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში; ერთი პირი თანამდებობრივი მდგომარეობით ექვემდებარება მეორე პირს ან ერთ პირს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირი; პირები არიან ფილიალი საწარმოები ან პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი; პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;

**MVNO ხელშეკრულება**: ნიშნავს „სელფის“ F106 და F109 ლიცენზიებით გათვალისწინებლ სიხშირეებზე და აღნშნული სიხშირეებით მომსახურების გაწევისთვის ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია „სელფსა“ და მომთხოვნ მხარეს შორის.

**მომთხოვნი მხარე:** ნიშნავს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის “MVNO-ს“, რომელიც ითხოვს „სელფის“ ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებას იმისათვის, რომ, როგორც MVNO-მ, საცალო მობილური კომუნიკაციების მომსახურებები გაუწიოს საბოლოო მომხმარებლებს საქართველოში.

**დაშვება** - მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) F106 და F109 ლიცენზიებით გათვალისწინებლ სიხშირეებზე და აღნშნული სიხშირეებით მომსახურების გაწევისთვის ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვება.

1. ეს ოფერტა აღწერს ძირითად პირობებს, რომელთა მიხედვით „სელფი“ „მომთხოვნ მხარეს“ სთავაზობს „სელფის“ F106 და F109 ლიცენზიებით გათვალისწინებლ სიხშირეებზე და აღნშნული სიხშირეებით მომსახურების გაწევისთვის ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს.
2. „მომთხოვნი მხარის“ გონივრული მოთხოვნის თანახმად, ამ ოფერტის საფუძველზე და იმ პირობით, რომ „მომთხოვნი მხარს“ სრულად აკმაყოფილებს წინამდებარე ოფერტაში განსაზღვრულ კრიტერიუმებს, „სელფი“ შესთავაზებს „მომთხოვნი მხარეს“ დაშვებას, MVNO ხელშეკრულების საფუძველზე („ხელშეკრულება“);
3. „სელფი“ „მომთხოვნი მხარის“ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე „მომთხოვნ მხარეს“ სთავაზობს „სელფის“ F106 და F109 ლიცენზიებით გათვალისწინებლ სიხშირეებზე და

აღნშნული სიხშირეებით მომსახურების გაწევისთვის ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებას MVNO-ს მომხმარებლებისთვის მობილური ინტერნეტით მომსახურებების მიზნით;

4. „სელფის“ ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ხელშეკრულებით დარეგულირდება ყველა ტექნიკურ და კომერციული საკითხი, რომელსაც წამოჭრის „სელფი“ და „მომთხოვნი მხარე“ ("მხარეები"), რაც საშუალებას მისცემს „მომთხოვნ მხარეს“, „სელფის“ რადიო ქსელის საშუალებით, მიაწოდოს საკუთარი მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება (მობილური ინტერნეტი) ბოლო მომხმარებლებს.
5. დაშვება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები ეხება მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიულ ზონას, სადაც „სელფის“ გააჩნია მისი საკუთარი მობილური ქსელი.
6. „სელფის“ მიერ დაშვებით უზრუნველყოფილი იქნება „მომთხოვნი მხარის“ დაშვება შესაბამის ქსელურ ელემენტთან, აღნიშნულ დაშვებით „სელფი“ „მომთხოვნი მხარეს“ სთავაზობს 4G და 5G მობილური ქსელის ტექნოლოგიებისა და მობილური ინტერნეტ სერვისების გამოყენებას „სელფის“ კუთვნილი რადიო ქსელის საშუალებით F106 და F109 ლიცენზიებით გათვალისწინებლ სიხშირეებზე, „მომთხოვნი მხარის“ ბოლო მომხმარებლებისათვის.
7. მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისთვის აუცილებელია რომ „მომთხოვნი მხარე“ სრულად შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

   ა) „მომთხოვნი მხარე“ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მოწოდების სფეროში ავტორიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირი.
   ბ) „მომთხოვნი მხარე“ არ უნდა იყოს აფილირებული საქართველოში მოქმედ მობილური ქსელის ოპერატორთან.
   გ) „მომთხოვნი მხარე“ არ ფლობს მობილური საკომუნიკაციო მომსახურებებისთვის რადიო სიხშირულ სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას (ლიცენზიებს).
   გ) სურს ვირტუალური ქსელის ოპერატორის „MVNO-ს“ სტატუსით გაუწიოს ბოლო მომხმარებელს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება საკუთარი ბრენდის სახელით „სელფის“ მობილური ქსელის გამოყენებით.
   ე) არ წარმოადგენს საქართველოში მოქმედი სხვა მობილური ქსელის ოპერატორთან ინტეგრირებულ MVNO-ს.
   ვ) „მომთხოვნმა მხარემ“ ხელი მოაწერა კონფიდენციალობის ხელშეკრულებას (”NDA”) „სელფთან“.

8. „სელფის“ 4G ან/და 5G რადიო ქსელთან დაშვების მსურველი „მომთხოვნი მხარე“ უნდა წარმოადგენდეს MVNO-ს რისთვისაც უნდა გააჩნდეს შემდეგი წვდომის პარამეტრები:
   a) მინიმუმ 2 x 10Gb LC ოპტიკური ინტერფეისებით შეერთება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ფარნავაზ მეფის ქ. #5.

b) ქსელის ტექნოლოგიებს უნდა შეეძლოთ შემდეგი პარამეტრების მხარდაჭერა: L2-L3 VLan tagging, VRF, BGP, eBGP, OSPF, LACP.
c) P2P დაერთებაზე წვდომების (ACL) გაწერის შესაძლებლობა.
d) vLans-ის ტრაფიკის მოცულობის გაზომვის საშუალება პორტების მიხედვით.
e) MVNO-ს უნდა შეიძლოს MTU პარამეტრის მოდიფიცირება ნებისმერ ინტერფეისზე.
f) IP reassembling ნებისმერ ინტერფეისზე (საჭიროებისამებრ).
g) საზღვრის პირა როუმინგის შეზღუდვა და კონტროლი MVNO-ს ოპერატორის მიერ.

9. „სელფი“ უზრუნველყოფს MVNO ოპერატორს მხოლოდ რადიო ქსელში დაშვებას Full MVNO სქემით. ყველა სხვა მობილური სერვისების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია MVNO ოპერატორი.

9.1 MVNO ოპერატორს უნდა გააჩნდეს:
a) Mobile Country Code (MCC) და Mobile Network Code (MNC)
b) MSISDNs (Mobile Station ISDN) სანომრე რესურსი.
c) SIM/USIM/eSIM ბარათები.

9.2 4G/5G NSA ქსელთან ინტეგრირებისათვის MVNO ოპერატორს უნდა ჰქონდეს:
a) HSS, MME, SGW, PGW რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს 3GPP Rel R15 სტანდარტს.
b) ინტერფეისები: S1-MME, S1-U.
c) პროტოკოლი: GTPv2.

9.3 5G SA ქსელთან ინტეგრირებისათვის MVNO ოპერატორს უნდა ჰქონდეს:
a) HSS, AMF, SMF, UPF, PCF, AUSF, UDM, AF, NEF, NRF, NSSF რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს 3GPP Rel R15 სტანდარტს.
b) ინტერფეისები: S1-MME, S1-U.
c) პროტოკოლი: GTPv2.

9.4 დამატებითი (მათ შორის არა სავალდებულო) სისტემები:
a) Billing
b) Charging (არასავალდებულო)
c) PCRF (არასავალდებულო)
d) CRM Prepaid/Post Paid B2B/B2C/B2G აბონენტებისათვის (არასავალდებულო)
e) Mobile Number Portability
f) Provisioning
g) Payment gateway
h) SMSC, USSDC, IVR, VAS, eSIM platforms, Announcements System (არასავალდებულო)
i) STP
j) EIR, LIMS
k) DMS (არასავალდებულო)
l) Border Gateway
m) ურთიერთჩართვის და როუმინგის ბილინგი

10.„სელფი“ უზრუნველყოფს MVNO ოპერატორს დაშვებას Light MVNO სქემით. ყველა სხვა მობილური სერვისების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია MVNO ოპერატორი.

10.1 MVNO ოპერატორს უნდა გააჩნდეს:

a) Mobile Country Code (MCC) და Mobile Network Code (MNC)
b) MSISDNs (Mobile Station ISDN) სანომრე რესურსი.
c) SIM/USIM/eSIM ბარათები.

10.2 დამატებითი (მათ შორის არა სავალდებულო) სისტემები:

a) Billing
b) Charging (არასავალდებულო)
c) PCRF (არასავალდებულო)
d) CRM Prepaid/Post Paid B2B/B2C/B2G აბონენტებისათვის (არასავალდებულო)
e) Mobile Number Portability (არასავალდებულო)
f) Provisioning
g) Payment gateway
h) SMSC, USSDC, IVR, VAS, eSIM platforms, Announcements System (არასავალდებულო)
n) STP (არასავალდებულო)
i) EIR, LIMS (არასავალდებულო)
j) DMS (არასავალდებულო)
k) Border Gateway (არასავალდებულო)
o) ურთიერთჩართვის და როუმინგის ბილინგი (არასავალდებულო)

11.„სელფი“ უზრუნველყოფს MVNO ოპერატორს დაშვებას მომსახურების მიმწოდებელი MVNO (Service Provider MVNO) სქემით. ყველა სხვა მობილური სერვისების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია MVNO ოპერატორი.

11.1 MVNO ოპერატორს უნდა გააჩნდეს:

d) Mobile Country Code (MCC) და Mobile Network Code (MNC)
e) MSISDNs (Mobile Station ISDN) სანომრე რესურსი.
f) SIM/USIM/eSIM ბარათები.

11.2 დამატებითი (მათ შორის არა სავალდებულო) სისტემები:

l) Billing (არასავალდებულო)
m) Charging (არასავალდებულო)
n) PCRF (არასავალდებულო)
o) CRM Prepaid/Post Paid B2B/B2C/B2G აბონენტებისათვის (არასავალდებულო)
p) Mobile Number Portability (არასავალდებულო)
q) Provisioning
r) Payment gateway
s) SMSC, USSDC, IVR, VAS, eSIM platforms, Announcements System (არასავალდებულო)
p) STP (არასავალდებულო)
t) EIR, LIMS (არასავალდებულო)
u) DMS (არასავალდებულო)

v) Border Gateway (არასავალდებულო)
q) ურთიერთჩართვის და როუმინგის ბილინგი (არასავალდებულო)

12. „სელფი“ უზრუნველყოფს MVNO ოპერატორის დაშვებას „ლიცენზირებული გადამყიდველის“ ტიპის MVNO-ს სქემით.
 წვდომა, რომელიც შეზღუდულია, მხოლოდ „სელფის“ პროგრამული უზრუნველყოფის - API-ს საშუალებით შესაძლებელია აბონენტის მომსახურებების (გამავალი/შემავალი ზარი, გამავალი/შემავალი სმს, ინტერნეტი) ჩართვა/გამორთვა. სააბონენტო ნომრის „სელფის“ სიმ-ბარათზე აშენება/წაშლა. ანგარიშგების ურთიერთჩართვის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს „სელფის “ მხრიდან CDR - ების მიწოდებას აღნიშნული ტიპის „MVNO“ – ს თვის. ლიცენზირებულ გადამყიდველს არ მოეთხოვება მე-8 მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური მოთხოვნები.
13. „მომთხოვნი მხარე“ ვალდებულია „სელფს“ წარუდგინოს ბიზნეს გეგმა (დაგეგმილი გაყიდვების რაოდენობა, აბონენტების რაოედენობა, მობილური ინტერნეტის ტრაფიკის მოცულობების სავარაუდო საწყისი შეფასება და სხვა), რომელიც მოიცავს სახელშეკრულებო პერიოდს, იმისათვის, რომ „სელფმა“ შეაფასოს საჭირო სიმძლავრეები და მასთან დაკავშირებული დამატებით გასაწევი სამუშაოები და ფინანსური ასპექტები.
14. თუ „მომთხოვნი მხარის“ მიერ წარმოდგენილი სავარაუდო საწყისი მოცულობების ოდენობა დაუსაბუთებელია და „სლეფისაგან“ მოითხოვს რესურსების შეუსაბამო დონის უზრუნველყოფას და ასეთი უზრუნველყოფის განხორციელების ხარჯები არ იქნება ამოღებული გონივრულ ვადაში „მომთხოვნი მხარის“ მიერ შემოთავაზებული ბიზნეს მოდელის/ბიზნეს გეგმის გათვალისწინებით, „სელფს“ უფლებას აქვს, განიხილოს ის, როგორც დაუსაბუთებელი მოთხოვნა და უარი თქვას „მომთხოვნი მხარის“ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.
15. მომთხოვნი მხარე ერთპიროვნულადაა პასუხისმგებელი მისი ნუმერაციის მოთხოვნების შესრულებაზე საქართველოს კანონის შესაბამისად და „სელფს“ არავითარი ვალდებულება არ ეკისრება მისი ნუმერაციის მოთხოვნების რომელიმე ნაწილის მართვაზე, თუ აღნიშნული არ წარმოადგენს „სელფის“ ვალდებულებას მომთხოვნ მხარესა და „სელფს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფიძველზე.
16. „სელფის“ მიერ სისტემის სათანადო კონფიგურაციისა და მომხმარებლის უნიკალური იდენტიფიკაციის უზრუნველსაყოფად, „მომთხოვნი მხარე“ „სელფს“ წარუდგენს (ა) IMSI დიაპაზონს, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას „მომთხოვნი მხარის“ მომხმარებლების მიერ „სელფის“ ქსელში (მათ შორის ნებისმიერი ქვე-დიაპაზონი, რომელსაც „მომთხოვნი მხარის“ მომხმარებლები იყენებენ) და (ბ) MSISDN დიაპაზონი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას „მომთხოვნი მხარის“ SIMSs-ების მიერ „სელფის“ ქსელში.
17. დაშვებაზე მოთხოვნა „მომთხოვნი მხარის“ მიერ „სელფისათვის“ წერილობით უნდა იქნას წარდგენილი და უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: ქ თბილისი მექანიზაციის ქუჩა 1.
18. მოთხოვნით უნდა დასტურდებოდეს რომ მომთხოვნი მხარე აკმაყოფილებს აღნიშნული ოფერტის მოთხოვნებს, რის შემდეგაც „სელფი“ წერილობით წარუდგენს „მომთხოვნ

მხარეს“ მოთხოვნის მიღების დასტურს NDA პროექტთან ერთად, რომელსაც ხელი უნდა მოეწეროს მოლაპარაკებების დაწყებამდე.

19. ორივე მხარის მიერ NDA ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, „სელფი“ „მომთხოვნ მხარეს“ უგზავნის მოთხოვნას ინფორმაციაზე, „მომთხოვნი მხარის“ :

ა) ბიზნეს გეგმის;

ბ)ინტერნეტ ტრაფიკის პროგნოზებზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის პერიოდში.

ბ) სრული ტექნიკური სპეციფიკაციებზე, რომლებიც ვრცელდება „მომთხოვნი მხარის“ ბიზნეს მოდელზე/ბიზნეს გეგმაზე.

„მომთხოვნმა მხარემ“ აღნიშნული ინფორმაცია „სელფს“, უნდა მიაწოდოს ინფორმაციის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

20. თუ „სელფი“ “მომთხოვნი მხარის“ პასუხის მიღების შემდეგ, დაადგენს, რომ რაიმე ინფორმაცია აკლია, ამის შესახებ აცნობებს “მომთხოვნი მხარეს“ და მოითხოვს გამოტოვებული ინფორმაციის წარმოდგენას „მომთხოვნი მხარის“ მიერ გამოგზავნილი წინა პასუხის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

21. “მომთხოვნმა მხარემ“ „სელფს“ უნდა მიაწოდოს მოთხოვნილი გამოტოვებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია სრულად, „სელფის“ მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, ბიზნეს-ქეისის მომზადებისა და შეფასების მიზნით.

22. „სელფი“ ვალდებულია მომთხოვნი მხარის მომართვიდან 3 თვის ვადაში გააფორმოს დაშვების შესახებ ხელშეკრულება თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ.

23. ხელშეკრულება, მისი ხელმოწერის შემდეგ, განხორციელებული უნდა იქნას ორივე მხარის მიერ სამართლებრივად დადგენილ ვადებში, იმ პირობით, თუ ორივე მხარემ შეასრულა საკუთარი ვალდებულებები.

24. ხელშეკრულების საფუძველზე “მომთხოვნი მხარის“ საკუთარი მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების კომერციული გაშვების (დაწყების) თარიღი შეთანხმებული უნდა იქნას წერილობითი ფორმით და უნდა შეესაბამებოდეს მომსახურების გაწევის მზადყოფნის თარიღს.

25. „სელფი“ “მომთხოვნ მხარეს“ მიანიჭებს დაშვების უფლებას და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს მხოლოდ ტესტირების ფაზის წარმატებით დასრულების შემდეგ და მას შემდეგ, რაც, MVNO მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთარი მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების კომერციული გაშვების შესახებ წერილი ორივე მხარის მიერ იქნება ხელმოწერილი.

26. ვინაიდან ხელშეკრულების მოლაპარაკებისა და ხელმოწერისთვის დადგენილია შეზღუდული სამართლებრივი ვადები, „სელფი“ აცნობიერებს, რომ ასეთი ვადების ათვლა იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც “მომთხოვნი მხარეს“ ჯეროვნად წარუდგენს „სელფს“ დასაბუთებულ მოთხოვნას ამ ოფერტის შესაბამისად, ჯეროვნად შეასრულებს ზემოაღნიშნულ ეტაპებს და ტექნიკურად სრულიად შეესაბამება ამ ოფერტის მოთხოვნებს.

27. „ხელშეკრულების“ ხელმოწერის თარიღიდან არაუგვიანეს 6 თვისა, “მომთხოვნმა მხარემ“ უნდა დაიწყოს (გაუშვას) მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა

მისი ბოლოო მომხმარებლებისათვის („კომერციული დაწყების (გაშვების) თარიღი“). ასეთი თარიღი მითითებული უნდა იქნას კომერციული დაწყების (გაშვების) წერილში, რომელიც ორივე მხარის მიერაა ხელმოწერილი.

28. “მომთხოვნმა მხარემ“ არ უნდა გახადოს მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება კომერციულად ხელმისაწვდომი მისი ბოლოო მომხმარებლებისათვის კომერციული დაწყების (გაშვების) თარიღამდე.
29. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთახმებით რომელიც არ შეიძლება იყოს 3 წელზე ნაკლები.
30. მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები

1. სელფი:

ა) ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და მასში დადგენილი ვადების შესაბამისად, „სელფი“, როგორც “მომთხოვნი მხარის“ მობილური ქსელის ოპერატორი, უზრუნველყოფს “მომთხოვნი მხარის“ დაშვებასა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს, ვიდრე ეს ხელშეკრულება ძალაში იქნება.

ბ) „სელფი“ დაიცავს და იმოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და პასუხისმგებელი იქნება “მომთხოვნი მხარის“ მოთხოვნების შესრულებაზე, თუ ასეთი მოთხოვნები შეესაბამება მოცემული დროისთვის ყველა მოქმედ მარეგულირებელ და სამართლებრივ აქტებს;

გ) „სელფი“, “მომთხოვნი მხარის“ მოთხოვნის საფუძველზე, ამ უკანასკნელს მიანიჭებს F106 და F109 ლიცენზიებით გათვალისწინებულ სიხშირეებზე მობილურ ტექნოლოგიებში სამომავლო ევოლუციებთან დაშვებას, რომლებიც „სელფის“ მიერ არ ყოფილა შეთავაზებული ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის, „სელფის“ მიერ ამ ახალი ტექნოლოგიის კომერციული გაშვებიდან 3 თვის ვადაში, თუ ამგვარი დაშვება ტექნიკურად განხორციელებადია.

2. “მომთხოვნი მხარე“:

ა) “მომთხოვნი მხარე“ ვალდებულია, შეასრულოს მისი, როგორც ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის ყველა ვალდებულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) “მომთხოვნი მხარე“ უნდა იცავდეს (i) ნებისმიერ კანონს, რეგულაციას და მითითებას, რომელიც ეხება „მომთხოვნი მხარის“ საქმიანობას, განსაკუთრებით მის მობილურ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას და (ii) ხელშეკრულებას და უნდა უზრუნველყოს მისი აგენტების, დისტრიბუტორების, რესელერების და მომხმარებლების მიერ ზემოაღნიშნულის დაცვა;

გ) “მომთხოვნი მხარე“ სრულად და ერთპიროვნულად აგებს პასუხს მისი ბოლო მომხმარებლების წინაშე მომხმარებლებთან ურთიერთობის, უზრუნველყოფის, მობილური ტელეფონის ნომრების პორტაბელურობის, SIM ბარათების, მონაცემთა გადაჭერის, გადაუდებელი დახმარების სერვისების, ქოლცენტრის, ბილინგისა და თანხების ამოღების და მისი მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების

პროდუქტების მარკეტინგის, შეფუთვის, დისრიბუციისა და გაყიდვების უზრუნველყოფაზე;

დ) “მომთხოვნი მხარე“ სრულად და ერთპიროვნულად აგებს პასუხს ურთიერთჩართვებზე პაკეტური კომუტაციის მონაცემთა გადაცემის სერვისების ქსელთაშორის გაცვლის უზრუნველყოფაზე მესამე მხარეებთან - ეროვნულ/საერთაშორისო ოპერატორებთან ან ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებთან, ასევე, “მომთხოვნი მხარის“ საკუთარ საერთაშორისო როუმინგულ ხელშეკრულებებზე - ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ე) “მომთხოვნი მხარე“ „სელფს“ სრულად და დროულად გადაუხდის გადასახადებს, მოსაკრებლებს, დაშვების საფასურს, დაშვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, განხორციელების ხარჯებს და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სხვა ფინანსურ ვალდებულებას რომლებიც დადგენილი იქნება ხელშეკრულებაში.

ვ) “მომთხოვნმა მხარემ“ „სელფს“ უნდა წარუდგინოს ტრაფიკის რეგულარული პროგნოზები. ტრაფიკის პროგნოზირების წარდგენის სიხშირე, სავარაუდო პერიოდი და დეტალები დადგენილი უნდა იქნას ხელშეკრულებაში;

ზ) “მომთხოვნი მხარე“ „სელფს“ აცნობებს ტრაფიკის მოცულობითი წილის და მონაცემთა გადაცემის პიკურ გამტარიანობის წინასწარ შეფასებას (პაკეტური კომუტაციის მონაცემების გადაცემა (მობილური ინტერნეტი) MB-ში ჯამურად);

თ) „მომთხოვნი მხარე“ იღებს ვალდებულებას, არ მისცეს უფლება რომელიმე მესამე მხარეს, გასწიოს მისი საკუთარი მობილური ელექტრონული საკომუნიკაცო მომსახურებები მისი სახელით „სელფის“ ქსელის გამოყენებით, „სელფის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

ი) „სელფი“ სრულად თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან იმ ზარალზე, რომელიც მიადგება „მომთხოვნი მხარის“ საბოლოო მომხმარებლებს ან/და „მომთხოვნი მხარის“ პარტნიორებს, „სელფის“ მიერ მიწოდებული მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ნაწილობრივი ან/და სრული შეჩერების ან შეწყვეტის შედეგად, თუ მომსახურების ნაწილობრივი ან/და სრული შეჩერება ან შეწყვეტა არ არის გამოწვეული „სელფის“ განზრახი ბრალეული ქმედებით. აღნიშნულ ზარალზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მომთხოვნ მხარეს“.

კ) „მომთხოვნი მხარე“ სრულად აგებს პასუხს ყოველგვარ თაღლითურ ქმედებებსა (ფროდი) და ამ ქმედებების შედეგებზე, რომლებსაც განახორციელებს თავად ან მისი საკუთარი საბოლოო მომხმარებელი;

მ) „მომთხოვნმა მხარემ“ უნდა დაიცვას უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა დაშვებას ან / და მასთან დაკავშირებულ მომსახურებასთან დაკავშირებით, „სელფის“ სისტემებთან დაშვების ჩათვლით და უნდა შეასრულოს „სელფის“ მიერ გაცემული ყველა გონივრული ინსტრუქცია ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით;

ნ) დეტალური პასუხისმგებლობები შეთანხმებული იქნება „სელფსა“ და “მომთხოვნ მხარეს“ შორის მოლაპარაკებების დროს და მითითებული იქნება ხელშეკრულებაში.

ო) „მომთხოვნი მხარე“ ვალდებულია არ გამოიყენოს დაშვების მომსახურებები ან არ დართოს ნება ნებისმიერ მომხმარებელს ან სხვა მესამე მხარეს, გამოიყენოს მომსახურებები რაიმე სახის ამორალური, უცენზურო, მავნე, შეურაცხმყოფელი ან უკანონო მიზნისთვის;

პ) შეასრულოს „სელფის“ კიბერ და საინფორმაციო უსაფრთხოების მოთხოვნები და „სელფს“ მისცეს შესაძლებლობა, შეამოწმოს მისი შესაბამისობა, ალტერნატიულად ჩაატაროს შესაბამისობის დამოუკიდებელი აუდიტი და გააცნოს „სელფს“ ასეთი დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიში და დასკვნები;

31. „სელფი“ უფლებამოსილია, „მომთხოვნ მხარეს“ მოსთხოვოს, „მომთხოვნი მხარის“ ბიზნეს წინადადების/ბიზნეს გეგმის თანახმად, წინასწარი/საავანსო გადახდები, რომლებიც გადახდილი უნდა იქნას ხელშეკრულებაში შეთანხმებულ ვადებში.
32. „მომთხოვნმა მხარემ“ „სელფის“ უნდა წარუდგინოს საბანკო გარანტიის წერილი, როგორც „სელფის“ წინაშე „მომთხოვნი მხარის“ ყველა ფულადი ვალდებულების უზრუნველყოფა. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
33. საბანკო გარანტია უნდა იყოს შეუქცევადი, აღსრულებადი „სელფის“ პირველი მოთხოვნისთანავე, გაცემული რეპუტაციის მქონე ბანკის მიერ და უპირობო. საბანკო გარანტიის მოდელი და ოდენობა განსაზღვრული უნდა იქნას ხელშეკრულებაში.
34. „სელფი“ „მომთხოვნ მხარეს“ ანიჭებს დაშვებასა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს, იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა მისი საკუთარი მობილური საკომუნიკაციო სერვისები მიაწოდოს მის ბოლო მომხმარებლებს იმ პირობებით, რომლებიც არ ჩამოუვარდება იმ პირობებს, რომლებითაც „სელფი“ საკუთარ მომხმარებლებს აწვდის ამგვარ და იდენტურ მომსახურებებს თანაზომად სიტუაციებში.
35. „სელფს“ შეუძლია, დისკრიმინაცია გაუწიოს „მომთხოვნი მხარის“ საბოლოო მომხმარებლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „სელფის“ ქსელის მთლიანობას არსებითი პრობლემები შეექმნება „მომთხოვნი მხარის“ გადაჭარბებული ტრაფიკის შედეგად. გადაჭარბებული ტრაფიკად მიჩნეული იქნება ტრაფიკი ის მოცულობები რომელიც არ იყო გათვალისწინებული/წარმოდგენილი „მომთხოვნი მხარის“ მიერ წარმოდგენილ სავარაუდო ტრაფიკის პროგნოზებში. ნებისმიერ შემთხვევაში, ორივე მხარის ტექნიკურმა სამუშაო ჯგუფებმა ერთობლივად უნდა განსაზღვრონ პროცესები და ბარიერები, რომლებიც ხელშეკრულებაში იქნება მითითებული.